

შპს „საღიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და
ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

2021 წელი

ბათუმი

**ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშ ვნა	2020	2019	2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	2 404 547	1 692 253	1 379 490
მიმდინარე მარაგები	5	623 969	283 669	338 781
სავაჭრო მოთხოვნები		1 163 034	537 319	528 796
სხვა საგადასახადო აქტივი				
სხვა მიმდინარე აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	6 865 744	1 118 861	1 165 097
სულ აქტივები		11 057 294	3 632 102	3 412 164
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	464 748	144 893	200 228
საიჯარო ვალდებულება		1 100		
საგადასახადო ვალდებულება		75 017	42 441	39 501
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6 146	3 171	327
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		298 667	168 199	156 273
სულ ვალდებულებები		845 678	358 704	396 329
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	1 210 048	1 210 048	1 210 048
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		9 001 568	2 063 350	1 805 787
სულ საკუთარი კაპიტალი		10 211 616	3 273 398	3 015 835
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11 057 294	3 632 102	3 412 164

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია ავანსები		
მიღებულია დებიტორებისგან	5 299 415	4 017 621
გაცემულია მომწოდებლებზე	(1 477 918)	(1 067 569)
გადახდილი/დაბრუნებული გადასახადები	(703 386)	(573 439)
გადახდილია ხელფასები	(2 602 694)	(2 089 804)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(15 391)	(90 881)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	500 027	195 928
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	212 267	116 835
კაპიტალის ცვლილება		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	212 267	116 835
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დაფარულია სესხი		
დაფარულია პროცენტი		
გადახდილი დივიდენდი		
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	-
შემოსავალი/ხარჯი საკუროსო სხვაობიდან		
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	-	-
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	712 294	312 763
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1 692 253	1 379 490
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2 404 547	1 692 253

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი




**მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	6 000 813	4 067 196
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2 173 390)	(1 146 079)
მიწოდების ხარჯები			
პერსონალის ხარჯი		(3 469 242)	(2 675 077)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი			
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(4 000)	(4 000)
საკონსულტაციო ხარჯი			
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი			
კომუნიკაციის ხარჯები		(11 315)	(11 195)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(23 433)	(16 886)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები			
კომუნალური და საოფისე ხარჯები		(137 466)	(122 846)
იჯარის ხარჯი			
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი			
ცვეთა და ამორტიზაცია		(537 172)	(76 001)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(239 313)	(138 597)
საოპერაციო მოგება		(594 518)	(123 485)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან			
სხვა ფინანსური შემოსავალი		212 267	128 799
სხვა ფინანსური ხარჯი			(550)
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		7 320 469	252 799
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		6 938 218	257 563
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		6 938 218	257 563
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)		6 938 218	257 563
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		6 938 218	257 563

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

Handwritten signatures of the Director and Chief Accountant.



კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	რეზერვებ ი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 210 048	1 805 787	-	3 015 835
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	-	-	-	-
წინა პერიოდის შეცდომის გავლენა	-	-	-	-
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	257 563	-	257 563
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 210 048,00	2 063 350	-	3 273 398
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალი ცვლილება	-	-	-	-
წინა პერიოდის შეცდომის გავლენა	-	-	-	-
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-	6 938 218	-	6 938 218
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 210 048	9 001 568	-	10 211 616

დირექტორი

Handwritten signature

მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. საერთო ინფორმაცია

შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ დაფუძნებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად 1999 წლის 01 ოქტომბერს (სარეგისტრაციო ნომერი 01/04-1197), რომლის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით მისი წესდების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ 2014 წლის 07 აგვისტოს #ს-480 ბრძანებით. 2017 წლის აგვისტოში მოხდენილი ცვლილების შესაბამისად წილის მმართველობა გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (2017 წლის 16 აგვისტოს #B17082768 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), ხოლო ა.ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება #12/103 და 2018 წლის 17 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერით შეეცვალა სახელი და გახდა შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“.

ცენტრის იურიდიული მისამართია: შპს „ქ. სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ - საქართველო, ქ. ბათუმი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ფაქტიური ადგილმდებარეობა: - საქართველო, ქ. ბათუმი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17 საქართველო, ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. #11

2. შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ის ფუნქციონირების პირობები

ცენტრის ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს დასრულებული კალენდარული წელი.

ორგანიზაცია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას მსს ფასით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ასახავს სამეურნეო სუბიექტის უნარს, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. საწარმოს ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით შეიძლება რისკები წარმოიქმნას, მათ შორის, ისეთ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტები მოგების მიღებაზე (კომერციულ საფუძველზე) მუშაობენ; როდესაც სახელმწიფოს მხარდაჭერა შეიძლება შემცირდეს ან შეწყდეს, ან მათი პრივატიზაცია განხორციელდეს - ასს-570). პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიულ ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება მსს ფასს შესაბამისად დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს.

2.1. ცენტრის საქმიანობის სფერო და უფლებამოსილებები

ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო-ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. აუდიტის პერიოდში ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა შემდეგი დადგენილებებით რეგულირებული ჯანდაცვის მოსახურეობა:

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #674 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა, რომელიც არეგულირებს ტუბერკულოზის მართვა (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება); აივ ინფექცია შიდსის მართვა (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება);
2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #674 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობას, რომელიც არეგულირებს „ც“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამას;
3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #674 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობას, რომელიც არეგულირებს ინფექციური დაავადებების მართვას სტაციონარულ და გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურეობას;
4. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #674 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში,- პროგრამით გათვალისწინებული ახალი კორონავირუსული (SARS-CoV-2) დაავადების (COVID 19) მართვა;
5. ასევე მოქმედებს შიდა სტანდარტი და ხორციელდება ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები ცალკეული ღონისძიებებისა და ნოზოლოგიების სახით.

3. ძირითადი აღრიცხვის პრინციპები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში და შეესაბამება ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებს შესაბამისი წლის

ბალანსში. ვინაიდან ცენტრს გააჩნია რამდენიმე ადმინისტრაციული ობიექტი მომსახურების განსახორციელებლად შესაბამისად გააჩნია რამდენიმე სალარო და შესაბამისად სალარო აპარატი ნაღდი ფულის შემოსვლის სათანადოდ აღსარიცხავად. სულ გააჩნია სამი მოქმედი სალარო აპარატი შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: DY00109417, DY00033845, DY00029441. ბუღალტერიაში ინახება პირველადი დოკუმენტები (სალარო აპარატის ZET ჩეკები), რომელთა შემოწმების შედეგად შესაძლებელია სალაროში ნაღდი ფულის შემოსავლის სრულყოფილი აღრიცხვა. ცენტრს გააჩნია საანგარიშსწორებო ანგარიშები სს „საქართველოს ბანკ“-ში, სს „თიბისი ბანკ“-ში და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ში.

ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების აუდიტისას რაიმე არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა.

3.2. დებიტორული დავალიანება

მიმდინარე დებიტორული დავალიანება აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით. დებიტორული დავალიანებები ბალანსში ჩაირთვება ფინანსური აქტივების განაყოფში. დებიტორული დავალიანებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ცენტრში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მომსახურების ღირებულება. საერთო 1,142,527.83 ლარიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრის წინაშე არსებული დავალიანება შეადგენს 858,9892.58 ლარს.

#	იურიდიული პირის დასახელება	პროგრამის დასახელება	ასანაწღურებელ თანხა 31.12.2020	ასანაწღურებელ თანხა 31.12.2019
1	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	ა). ინფექციური დავალების მართვა - სტაციონარულ მომსახურება	13,619.28	93,689.32
		ბ). აივ ინფექცია შიდის სტაციონარულ მომსახურება	15,499.12	25,177.11
		გ). აივ ინფექცია შიდის ამბულტორიულ მომსახურება	71,489.21	64,908.82
		დ). საყოფელაო ჯანდაცვა - ამბულტორიულ მომსახურება	465353.23	133336
		ე). „ც“ ჰეპატიტის ელმინაციის პროგრამა	10,120.00	59,921.00
		ვ). ტუბერკულოზის მართვა - ამბულტორიულ მომსახურება	41,464.74	42,142.27
		ზ). ტუბერკულოზის მართვა - სტაციონარულ მომსახურება	11,403.00	20,380.00
		თ). მობილური ბრიგადა - ანტრუტოვირუსული თერაპიის მონიტორინგი	2,995.00	-
		ი). COVID 19 - ახალ კორონა ვირუსულ დავალება	226,349.00	-
2	შპს არტ ჯგუფი		1,986.53	6,714.16
3	სს არქიმედო გლობალჯორჯია		1,003.38	1,003.38
4	სს ჯიპი აიპოლდნგი		4,091.17	4,136.66
5	შპს პსპ დ ლევა		2,823.39	2,776.59
6	თეიმარაგელ ქალქის - ბაიუმის მერია		156.18	156.18
7	შპს სად ლევევოკომპანია ვესტ		300.85	300.85
8	სს ინფექციური	ა). კონსულტაცია - ტესტირება	2,822.75	8,044.54

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

	პათოლოგიის, შიდა და კლნიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი	ბ). აივ ინფექცია შიდა და ტუბერკულოზის მკურნალობა	2,590.00	7,267.00
9	სს სილენტი		3,000.00	1,000.00
10	ა9ა)იპ იმედ		-	1,049.00
11	სსიპ დაავადებათა კონტროლსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		258,361.00	744.00
12	საქართველოს ოჯახურ ჯანდაცვის ტერიტორიების დეპარტამენტის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო		-	13,538.75
13	შპს საფეხბურთო კლუბი დინამო		3,200.00	-
14	შპს მედიკუმენტის		1,350.00	-
15	სს საქართველოს ბანკი		1,950.00	-
	სულ ჯამი		1 425 528	485,657.63

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოღებაც საეჭვოა ხანდაზმულობის გათვალისწინებით. რადგანაც ბასს 37 განმარტავს „ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია“, შესაბამისად ხანდაზმული და ამოუღებელი დებიტორები, რომელთაც ამოღების ვადა გაურკვეველია, აუცილებელია ჩამოიწეროს ხარჯებში და გადავიდეს საეჭვო ვალების ანარიცხების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განმარტებულია - უიმედო ვალი - საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის ან აღნიშნულის ფარგლებში წინასწარი გადახდის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე.

3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მსს ფასს (მე-13 განყოფილება - მარაგები) მიხედვით „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ისეთი აქტივებია, რომლებიც: ა). გათვალისწინებულია გასაყიდად; ბ). მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების პროცესში; და გ). წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად“. ცენტრის სასაქონლო-მატერიალურ მარაგები შედგენილია მედიკამენტების, ლაბორატორიის რეაქტივების, დამხმარე მასალების, სადეზინფექციო საშუალებების, რბილი თეთრეულის, სარეცხი და სამეურნეო საქონლის, კვების პროდუქტებისა და სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისაგან. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშიდან ძირითადი საშუალებების ანგარიშზე გადატანილია მცირეფასიანი ინვენტარი და ძირითადი საშუალება, რომელიც არ წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს, საერთო ღირებულებით 4,868 (ოთხიას რვაას სამოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
საქონელი	573,155.50	257,922.81

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

ცენტრალური აფთაქი	179,523.12	115,149.00
ლბორატორიულ დიპარტამენტ	180,816.78	38,773.40
საერთო რეაქტივები	147,819.61	11,674.05
სახარჯი მასალა	306.59	1,392.99
სკრინინგის ცენტრი	383.85	396.82
რექტეივები „ც“	31,582.10	24,503.50
სახარჯი მასალა „ც“	-	36.03
სახარჯი მასალა ფიზიოლოგი.	724.59	770.01
ინფექციურის სტაციონარულ განყოფილება	8,244.14	8,532.90
ინფექციურის ამბულატორიულ განყოფილება	4,841.28	2,679.82
აივ ინფექცია შიდსის განყოფილება	26,252.52	24,359.98
აივ ინფექცია შიდა გლხალს განყოფილება	33,341.30	22,319.47
ექსკლუიის კაბინეტი	156.40	236.00
სადუინფექციოსაშულებების ინფექციური დიპარტამენტ	7,034.08	18,668.08
გასტროსკოპიის კაბინეტი	36.52	36.52
რენტგენის კაბინეტი	10,011.92	6,433.15
ტუბ. დსპანსერის შეძენილ მედიკამენტების საწყობი	701.57	161.52
ტუბ. დსპანსერის ჰუმანიტარულ მედიკამენტების საწყობი	16,646.94	14,862.07
ტუბ. დსპანსერის სტაციონარის შეძენილ მედიკამენტების საწყობი	1,028.86	1,254.01
ტუბ. დსპანსერის სტაციონარის ჰუმანიტარულ მედიკამენტების საწყობი	1,853.79	2,100.13
ტუბ. დსპანსერის სტაციონარულ განყოფილების დმხმარე სამედიცინო მასალების საწყობი	142.23	41.50
ფიზიოლოგი. სადუინფექციოსაშულებების საწყობი	724.00	2,308.00
სტაციონარი ეკგ ტუბი		7.26
რეანიმაციულ განყოფილება	556.50	-
ლბორატორია COVID 19 ტესტები	101,243.55	-
ნედლეული დ მასალები	9,715.05	7,342.60
კვების პროდუქტები	5,837.67	3,049.23
საწვავი მასალები	556.76	828.29
სარეცხი დ სამეურნეოსაქონელ	3,320.62	3,465.08
სულსასაქონლმატრალური ფსეულები	582,870.55	265,265.41

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება ფასდება შეძენაზე ფაქტიური დანახარჯებით, რომელშიც შედის ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულება, ასევე პირდაპირი ხარჯები ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

შემდგომი დანახარჯები დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ზრდასთან, რომელიც ზრდის სასარგებლო მომსახურების ვადას კაპიტალიზდება.

პირველდაწყებითი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აღირიცხება დარიცხული ცვეთის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ერთჯერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითად საშუალებების ნაშთები

#	მუხლს დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	მიწის ნაკვეთები	588,707	588,707
2	შენობები	4 907 245	285 874
3	ნაგებობები	1 006	1,258
4	მანქანა-დანადგარები	1 112 235	152,285
5	ოფისის აღჭურვილობა	211 689	34,685
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	21 485	26,830
7	სატრანსპორტო საშუალებები	23 377	29,222
	სულჯამი	6 865 744	1 118 861

ანგარიში ძირითადი საშუალებების მიღება-გასვლის შესახებ

#	მუხლს დასახელება	31.12.2020		31.12.2019	
		მიღება	გასვლ	მიღება	გასვლ
1	მიწის ნაკვეთები	-	-	-	-
2	შენობები	4,879,647	258,276	-	15,047
3	ნაგებობები	-	252	-	31,457
4	მანქანა-დანადგარები	1,175,607	215,657	-	38,071
5	ოფისის აღჭურვილობა	228,801	51,797	-	8,671
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	5,345	565	6,591
7	სატრანსპორტო საშუალებები	-	5,845	29,200	7,305
	სულჯამი	6,284,055	537,172	29,765	107,143

ცენტრის შენობებს 2020 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რომელიც აღებულია არასაოპერაციო შემოსავლებში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრის ძირითადი საშუალებები არ არის დაყადაღებული და დაგირავებული.

3.5. იჯარა

გამოვლენილი გარემოებები და შეფასებები

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება (ბასს 17), რომლის თანახმადაც მეიჯარე, შემოსავლის მიღების მიზნით, გადასცემს მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. ცენტრს გააჩნია ჩვეულებრივი იჯარა სს „სილქნეტი“-სა და შპს „ვიონი საქართველო“-ს წინაშე. სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ხდება ყოველთვიურად გამომუშავებული შემოსავლის აღიარება. მიმდინარე წლის ბოლოსათვის ცენტრს არ აქვს მნიშვნელოვანი ამოსაღები თანხა საიჯარო ქირასთან დაკავშირებით. გააჩნია მხოლოდ სს „სილქნეტი“-ს წინაშე არსებული დებიტორული დავალიანება 3,000 ლარი.

საოპერაციო იჯარის აუდიტისას რაიმე არსებითი ხარვეზი არ გამოვლენილა.

3.6. კრედიტორული დავალიანებები

მიმდინარე მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები შედგება მოწოდებული საქონლის, მიღებული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი დავალიანებების, გადასახდელი ხელფასების, დარიცხული და საგადასახადო ვალდებულებებისაგან. მიმდინარე ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგენს 464,748,33 ლარს, რომელშიც მნიშვნელოვანი წილი (187,703,49 ლარი) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“-ს წინაშე არსებულ დარიცხული ჯარიმის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას უჭირავს. აღნიშნული დავალიანებიდან უმეტესი ნაწილი 100,000 ლარი, წარმოშობილია 2015 წელს სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების არასათანადოდ შესრულების გამო, რომელიც 2020 წელს გაიზარდა 87,703,49 ლარით (აქტი #ს/კ-434-53 - შპს „სალის აბაშიძის სახ. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრში“ (მის: ქ. ბათუმი, ქათამაძის #11; იურიდიული მისამართი: თაბუკაშვილის ქ. #17; ს/კ 245418392) 2015 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 აგვ სტომდე პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის აივ-ინფექცია, შიდსის დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში გაწეული მუშაობის კონტროლის (შემოწმების) 2020 წლის 17 იანვრის #ს/კ-22-2 აქტში ტექნიკური ცვლილებებისა და დამატების შესახებ). გამომდინარე აქედან გაცემული რეკომენდაციების (სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა (შესაბამისობის აუდიტის ანგარიში #41/36) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ს ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტის დასკვნა) გათვალისწინებით აღძრულია საქმე 8 ექიმის მიმართ 2018 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, თუმცა აღნიშნულ საქმეზე ჯერ სასამართლო გადაწყვეტილება არ მიღებულია.

რაც შეეხება გადასახდელი ხელფასის დავალიანების მუხლს დარიცხული ხელფასის გაცემა ხდება მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, შესაბამისად საანგარიშგებო წლის ბოლოს აღიარებული ვალი 298,666,78 ლარი წარმოადგენს მიმდინარე წლის დეკემბრის თვის გასაცემ თანხას, რომელიც გაცემულია 2020 წლის იანვარში.

რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებებს, ამ კუთხით საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან დაკავშირებით. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნების გათვალისწინებით. საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება ყოველთვიურად გაცემული ხელფასიდან გამომდინარე. მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებების გამო რადგანაც 2020 წელს არ მომხდარა დივიდენდის გაცემა და მოგების ყოველთვიური დეკლარაციით

გათვალისწინებული ხარჯვა შესაბამისად დეკლარაცია ნულოვანია. ქონების გადასახადი აღიარებულია კანონით დადგენილ ვადებში და შესაბამისი ოდენობით.

3.7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ერიცხება საანგარიშო წლის ფინანსური შედეგიდან გამომდინარე მისი განაწილების შემთხვევაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი ერიცხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის საგადასახადო ბაზას წარმოადგენს ფინანსური შედეგი, აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.8. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსური ნაკადების აღრიცხვაში შემოსავლების და ხარჯების ასახვის დრო და მისი განსაზღვრის მეთოდი მსს ფასს შესაბამისად - ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფულადი სახსრები მიღებული ან გადახდილი, ან ექვემდებარებოდა თუ არა მიღებას ან გადახდას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების საიმედოობა, რომელიც მომავალში მიიღება. შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როცა გადაეცემა არსებითი რისკები და სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივთან. ცენტრს გააჩნია შემდეგი სახის შემოსავლები: ა). შემოსავლები შიდა სტანდარტით; ბ). შემოსავლები სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით; გ). შემოსავლები კერძო სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით და დ). სხვა არასაოპერაციო შემოსავლები. არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია საპროცენტო შემოსავლების, პერონალზე დაკისრებული ჯარიმებისაგან, ფასეულობათა უსასყიდლოდ გადმოცემით მიღებული შემოსავლების და სხვა დარიცხული პირგასამტეხლოებისა და ჯარიმებისაგან, ასევე ხანდაზმული კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებული შემოსავლებისაგან.

საოპერაციო შემოსავლები შედგება კლინიკაში მოქმედი სხვადასხვა ოეპარტამენტებიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები ინფექციური დეპარტამენტდან	4,932,845	3,083,006
შემოსავლები ფტოზიოზოზმოლოგიური დეპარტამენტდან	892,738	882,251
შემოსავლები იჯაროდან	25,200	25,200
შემოსავლები ამბულატორიულ მომსახურებიდან	150,029	76,738
სულსაოპერაციოშემოსავლები	6,000,813	4,067,196

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

არასაოპერაციო შემოსავლები შედგება საპროცენტო შემოსავლებისაგან, რომელიც ცენტრს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე ერიცხება, ასევე კომპანია ღებულობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მედიკამენტებს, რომელიც 2020 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ახალი კორონავირუსის მართვის პირობებში. მიმდინარე არასაოპერაციო შემოსავლების მნიშვნელოვან წილს შეადგენს ა და ბ კორპუსის კაპიტალური რემონტის ღირებულება, რომელიც ცენტრს უსასყიდლოდ გადმოეცა.

არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
საპროცენტო შემოსავლები	212,267	128,799
არასაოპერაციო მოგება	1,257	402
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	1,436,210	351,418
უსასყიდლოდ მიღებული ძირითად საშუალებები	6,027,632	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,840	150
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	7,679,206	480,769

ხარჯები

ხარჯები და სხვა გასავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით. იგი შედგება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებისაგან. საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი ძირითადი და დამხმარე მარაგების დანახარჯებზე მოდის; დანარჩენ ნაწილს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს.

საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
ძირითადი მასალების დანახარჯები	2,025,651	1,053,993
დამხმარე მასალების დანახარჯები	109,112	65,249
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,961	15,050
სულ საოპერაციო ხარჯი	2,136,724	1,134,292

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	3,469,242	2,675,077
მივლენების ხარჯი	3,579	5,423
საპენსიო პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯები	23,433	16,863
საოფისე ინვენტარის ხარჯი	59,904	28,886
კომუნიკაციის ხარჯები	8,493	9,407
კომუნალური მომსახურების ხარჯი	137,466	122,846
კომპიუტერის ხარჯები	53,331	16,370
საკონსულტაციო ხარჯები	4,000	4,000
ცვეთა და ამორტიზაცია	537,172	76,001
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	161,987	101,517
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,458,607	3,056,390

შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“

არასაოპერაციო ხარჯები დებიტორული დავალიანების კორექტირებით მიღებული ზარალისაგან შედგება, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2020	31.12.2019
არასაოპერაციო ზარალ	58 766,69	68,619
სხვა საოპერაციო ხარჯები	87,703	31,101
სულ საოპერაციო ხარჯი	146 470,18	99,720

3.9. კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“-ს უშუალო მფლობელია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 245429200 – 100%, წილის მმართველი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - 245428755 (100%)

კაპიტალის შემადგენლობაში შედის კაპიტალის წმინდა ღირებულება და გაუნაწილებელი მოგება. წმინდა ღირებულებაშია აკუმულირებულია მოგება. საწესდებო კაპიტალმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,210,048.00 ლარი, ხოლო გაუნაწილებელმა მოგებამ 6,938,218.31 ლარი შეადგინა.

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით. ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორებზე.

2020 წელში დამფუძნებელ პარტნიორზე დივიდენდები არ გამოცხადებულა და შესაბამისად არც გაცემულა.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი გავლენა

2019 წლის ბოლოს გამოჩენილმა ვირუსმა, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი, მსოფლიო ეკონომიკის შემაფერხებელ ძალად იქცა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. უნდა აღინიშნოს რომ შექმნილი სიტუაცია ცენტრის ფუნქციონირებას საფრთხე არ უქმნის.